Alco Dez

სადეზინფექციო საშუალება

აღწერა:

Alco Dez არის მზა სადეზინფექციო საშუალება სპრეის სახით, რომელიც გამოიყენება კვების, სასმელების და რძის პროდუქტების მრეწველობაში.

ძირითადი მახასიათებლები:

Alco Dez არის ალკოჰოლზე დაფუძნებული სადეზინფექციო საშუალება, რომელიც ასევე შეიცავს ორგანულ სეკვესტრანტს და მეოთხეული ამონიუმის ნაერთს. იგი სპეციალურად შექმნილია ზედაპირებზე პირდაპირი გამოყენებისთვის, როდესაც შეუძლებელია ან არასასურველია დიდი რაოდენობით წყალზე დაფუძნებული პროდუქტების გამოყენება. ეფექტურია მიკროორგანიზმების უმეტესი ვეგეტატიური ფორმების წინააღმდეგ, გრამდადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიების და საფუარის ჩათვლით.

Alco Dez უსაფრთხოა გამოსაყენებლად საკვებთან კონტაქტში მყოფ ზედაპირებზე და სწრაფად ორთქლდება, პრაქტიკულად არ ტოვებს ლაქებს. რეკომენდებულია მაღალი რისკის ზონებში გამოყენება კონვეიერების, შემავსებლების და სხვა აღჭურვილობის გასაწმენდად და დეზინფექციისთვის მცირე პროდუქტის დაღვრის შემდეგ და ა.შ.

მისი გამოყენება ასევე შესაძლებელია შუა ცვლაში შესვენების დროს, ჰიგიენის კარგი სტანდარტის შესანარჩუნებლად, სანამ წარმოება ხელახლა არ დაიწყება.

დადებითი მხარეები:

- მზა არის გამოსაყენებლად, სპრეის აპლიკატორით
- განსაკუთრებით შესაფერისია ტენიანობისადმი მგრძნობიარე ადგილებისთვის.
- ეფექტური ფართო სპექტრის აქტივობა.

გამოყენების წესები:

Alco Dez გამოიყენება გაუზავებლად, დაიტანეთ ზედაპირზე და დატოვეთ გასაშრობად.

გადარეცხვა საჭირო არ არის, თუ კანონით არ არის მითითებული. დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, გადახვიდეთ ინდივიდუალური მეთოდის ბარათებზე.

ტექნიკური მონაცემები

გარეგნული ფორმა: წმინდა უფერო სითხე

Ph (1% ხსნარი 20 ºC–ზე) 6,5-8,0

ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნა (COD) 540 gO_2/კგ

აზოტის შემცველობა (N) < 0,1 გრ/კგ

ფოსფორის შემცველობა none

ზემოთნახსენები მონაცემები წარმოადგენენ ტიპიურ სიდიდეებს და სპეციფიკაციებად არ უნდა განიხილებოდნენ.

ინფორმაცია უსაფრთხო დამუშავებასა და შენახვაზე

შეინახეთ თავისივე კონტეინერში დახურულ მდგომარეობაში ან (სადაც შესაძლებელია) სპეც. განკუთვნილ ცისტერნაში, მოარიდეთ მზის სხივებს და მაღალ ტემპერატურას. პროდუქტის გამოყენებისა და განთავსების შესახებ სრული ინსტრუქციის ნახვა შესაძლებელია არსებითი უსაფრთხოების მონაცემების ფურცელზე.

პროდუქტის თავსებადობა

Alco Dez – უსაფრთხოა, როდესაც გამოიყენება, როგორც რეკომენდებულია გამოსაყენებლად მასალებზე, რომლებიც ჩვეულებრივ გვხვდება დამუშავებული კვების მრეწველობაში. თუმცა, მოერიდეთ შესხურებას პოლიკარბონატზე და სხვა პლასტმასებზე, რომლებიც მგრძნობიარეა. გაურკვევლობის შემთხვევაში, მიზანშეწონილია შეაფასოთ ცალკეული მასალები გამოყენებამდე.

ტესტირების მეთოდი: არ მიესადაგება

Cleantech